GEORGIAN INSTITUTE OF PUBLIC AFFAIRS

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის მაგისტრი/Master in Psychology

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

პროგრამის მიზანი:

გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:

- ღრმა და სისტემური ცოდნა პოლიტიკური და საორგანიზაციო მართვის ფსიქოლოგიაში;
- პოლიტიკური და საორგანიზაციო ქცევის თანამედროვე კონცეფციების, ძირითადი თეორიებისა და მიდგომების, ტენდენციების, თეორიული, მეთოდოლოგიური და კვლევითი პრინციპების საფუძვლიანი ცოდნა;
- ინდივიდუალური კვლევითი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის აუცილებელი ცოდნა.

გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

- პოლიტიკური და მართვის/ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- ანალიტიკური ხედვა და კვლევის, ეფექტური სტრატეგიების შემუშავებისა და ინტერვენციის პრაქტიკული უნარები;
- ინდივიდუალური კვლევითი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები;
- პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვის უნარები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

პროგრამაზე დაშვების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს: 1) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ფსიქოლოგიაში; სხვა სპეციალობისთვის- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მოსამზადებელი, სამთვიანი ინტენსიური კურსის ("ფსიქოლოგიის საფუძვლები") წარმატებით გავლა; 2) ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ზღვარის წარმატებით გადალახვა (A ტესტი); 3) შიდა საუნივერსიტეტო პროცედურის (გასაუბრება მიმღებ კომისიათან) წარმატებით გავლა, რომელიც გულისხმობს ასევე ინგლისური ენის ცოდნის შემოწმებას (მოთხოვნა: სულ მცირე, Upper Intermediate დონე B2).

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება:

მაგისტრს გააჩნია სპეციალიზაციის სფეროს ღრმა, სისტემური და და ინტეგრირებული ცოდნა, იგი ერკვევა გამოყენებითი ფსიქოლოგიის დარგებში. ზედმიწევნით იცნობს კონცენტრაციის - პოლიტიკური ფსიქოლოგიის/მართვის და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მიმართულებების - კონცეფციებს, თეორიებს, არსებულ პრობლემებს და შეუძლია თავისუფლად იმუშაოს ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე. მაგისტრს ღრმად და სისტემურად აქვს შესწავლილი პოლიტიკური ფსიქოლოგიის/მართვის და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მიმართულებები, ღრმად და სისტემურად იცნობს პოლიტიკური/ორგანიზაციული მართვის პრინციპებს, სიღრმისეულად ფლობს კვლევის მეთოდოლოგიას.

უნარი:

მაგისტრს გააჩნია გამოყენებითი ფსიქოლოგიის სფეროში არსებული პრობლემების მრავალმხრივი ხედვისა და მათი კრიტიკული ანალიზის უნარი. სწავლისას მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე, მაგისტრს შეუძლია განხორციელებული სამუშაოს, დასახულ მიზნებთან მისი ადეკვატურობის შეფასება, მიღებული შედეგებისა და დაშვებული შეცდომების განზოგადება. სწავლების ფორმატიდან გამომდინარე, მაგისტრი ითვისებს აბსტრაქტული, ანალიტიკური აზროვნების უნარს, რომელიც საშუალებას აძლევს მიღებული ინფორმაციის სწორად გააზრების, არგუმენტაციის, ანალიზის, მსჯელობის აგებისა და დამუშავებული ინფორმაციის სინთეზირების უნარს.

პროგრამის სპეციფიკის თვალსაზრისით, მაგისტრი აანალიზებს შესაბამისი სპეციალიზაციის სფეროში არსებულ პრაქტიკულ და სამეცნიერო კვლევით ნაშრომებს, გამოაქვს კომპეტენტური და აკადემიურად დასაბუთებული დასკვნა.

მაგისტრი იყენებს და პრაქტიკაში ნერგავს სწავლისას მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას. სასწავლო პროცესში რეალური ქეისების განხილვა და პრაქტიკული სავარჯიშოები მაგისტრს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს უძლიერებს.

მაგისტრი ითვისებს ისეთ პრაქტიკულ უნარებს, როგორიცაა ფსიქომეტრიის, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის, ფსიქოდიაგნოსტიკის, სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, დამუშავების და მათი ანალიზის უნარებს; იყენებს სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდებს.

კვლევითი და აკადემიური პროექტების, სადიპლომო ნაშრომის მომზადების დროს მაგისტრი პრაქტიკულად იყენებს კვლევის ეფექტურად და სიღრმისეულად წარმართვის უნარს: დამოუკიდებლად გეგმავს და ატარებს კვლევას, ამუშავებს მონაცემებს, ახდენს ინტერპრეტაციას და ანალიზს, გამოაქვს შესაბამისი დასკვნები.

მაგისტრი ადეკვატურად გადასცემს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას საკუთარ დასკვნებსა და არგუმენტებს - წერილობითი და ზეპირი ფორმით; ფლობს აკადემიური ნაშრომების შექმნის, კვლევითი პროექტების წერილობითი და ზეპირი ფორმით წარმოდგენის ტექნიკას. მას გააჩნია როგორც განსხვავებული აზრის გაგების, ისე საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი.

საჭიროების შემთხვევებში, მაგისტრს გააჩნია სხვადასხვა პოლიტიკურ თუ ორგანიზაციულ პროცესებში ინდივიდებისა და ჯგუფების ჩართულობის უზრუნველყოფისა და მათთან მუშაობის უნარი. სასწავლო ფორმატი მაგისტრს უყალიბებს ლიდერის თვისებებს, ასევე გუნდში ნაყოფიერი მუშაობის უნარ-ჩვევას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

მაგისტრი პატივს სცემს ადამიანის უფლებებს. აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ღირებულებათა სისტემა; იცნობს და აფასებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს; აფასებს თავის და სხვების დამოკიდებულებას ამ ღირებულებებისადმი. აქვს განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის უნარი; სრულად გაცნობიერებული აქვს თანაბარი შესაძლებლობებისა და გენდერული საკითხების მნიშვნელობა.

მაგისტრი სრულად აცნობიერებს და ზედმიწევნით იცავს პროფესიული, ფსიქოლოგიური ეთიკის სტანდარტებს - კვლევის დაგეგმვის, განხორციელების, მონაცემთა ბაზის შექმნისა და კვლევითი ანგარიშის წარმოდგენისას; ასევე, ფსიქოლოგიური ინტერვენციისა და სოციალური ცვლილებების პროცესში. აქვს კრიტიკის კორექტულად გამოთქმისა და მიღების უნარი.

მაგისტრი დამოუკიდებლად ისწრაფვის პროფესიული ზრდისკენ, რაც გულისხმობს როგორც პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავებას, ასევე სამეცნიერო საქმიანობის წარმოებას. მაგისტრი დამოუკიდებლად წარმართავს სწავლის პროცესს, ავლენს მისი თავისებურებების სრულად გაცნობიერებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მაღალ დონეს; სფეროში მიმდინარე სიახლეებზე დაყრდნობით, დამოუკიდებლად იფართოებს ცოდნას; აქვს გამოყენებითი ფსიქოლოგიის სფეროში უახლესი სამეცნიერო მიღწევების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.

მიზნების და შედეგების რუკა

პროგრამის სწავლის შედეგები თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან და გადის შვიდ (7) მაჩვენებელზე, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობა საკვანძო კომპეტენციებს - როგორც დარგობრივს, ისე ზოგადს. ეს მაჩვენებლებია:

1. [დარგობრივი] ცოდნა

მაგისტრი ფლობს ღრმა/სისტემურ ინფორმაციას სპეციალიზაციის სფეროს შესახებ: იცის ტერმინოლოგია, იცნობს და აცნობიერებს პრობლემატიკას, აღწერს ძირითად დებულებებსა და პრინციპებს, კონცეფციებსა და თეორიებს, იაზრებს სფეროსთვის დამახასიათებელ თანამედროვე მიდგომებს, მეთოდებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებს, ერკვევა სპეციალობის სტრუქტურასა და ძირითად კომპეტენციებში.
მაგისტრს ესმის პოლიტიკური/ორგანიზაციული პროცესები ფსიქოლოგიური პერსპექტივიდან გამომდინარე; საზღვრავს ორგანიზაციებში, საზოგადოებასა და ხელისუფლებაში სპეციალიზაციის სფეროთი განპირობებული მიდგომების ადგილსა და როლს; აღწერს პოლიტიკური და საორგანიზაციო ქცევის თავისებურებებსა და ტენდენციებს.

2. **პრაქტიკა**

მაგისტრი იყენებს დარგის შესაბამის ინსტრუმენტებს პრაქტიკაში: პრაქტიკაში იყენებს მიღებულ თეორიულ ცოდნას, სპეციალიზაციის სფეროს პრინციპებს, მიდგომებსა და მეთოდოლოგიას არსებულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით, აღწერს პოლიტიკურ და მართვის/ორგანიზაციულ პროცესებს ფსიქოლოგიურ ტერმინებში და აკვირდება მათ ფსიქოლოგიური თვალსაზრისიდან გამომდინარე, ახდენს მოცემული პროცესების ანალიზსა და კონსულტირებას, "ხატავს" პოლიტიკური ლიდერების ფსიქოლოგიურ პორტრეტებს.

3. **ანალიტიკა**

მაგისტრი აჯერებს სხვადასხვა ინფორმაციას და მათი შედარებითი ანალიზის საფუძველზე ახდენს დასკვნების ფორმულირებას და ასაბუთებს მათ, აანალიზებს პრობლემებსა და სიტუაციებს შესწავლილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე, ირჩევს მათ გადასაჭრელად შესაბამის მიდგომებს და იღებს ეფექტურ გადაწყვეტილებებს; კრიტიკულად აფასებს მოვლენებსა და სიტუაციებს, ფლობს მათი ძირითადი კომპონენტების გამოყოფის, ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასების უნარს; ხედავს პოლიტიკურ და მართვის/საორგანიზაციო სფეროში არსებულ პრობლემებს და მათი პრევენციისა თუ აღმოფხვრის გზებს.

4. **კვლევა**

მაგისტრი განსაზღვრავს/აღწერს კვლევის მეთოდების თეორიულ ასპექტებს, იაზრებს კვლევის სხვადასხვა მეთოდოლოგიის, რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების მახასიათებლებს; გეგმავს და წარმართავს სამეცნიერო [ფსიქოლოგიურ] კვლევას - ატარებს ექსპერიმენტს, გამოკითხვას, ინტერვიუს, იყენებს დაკვირვებას და ინტროსპექციას, ასევე - ტექსტის ანალიზის სხვადასხვა მეთოდს. დამოუკიდებელად მუშაობს სადიპლომო ნაშრომზე.

5. **კომუნიკაცია**

მაგისტრი იყენებს კომუნიკაციის ინსტრუმენტებს (წერილობითს და ზეპირს). ზეპირი თუ წერილობითი მეტყველების გამოყენებით, აფასებს, აანალიზებს, მსჯელობს, ასაბუთებს და იყენებს ცოდნას პრაქტიკულ საქმიანობაში, ფლობს კვლევითი პროექტების წერილობითი და ზეპირი ფორმით წარმოდგენის

ტექნიკას. მას გააჩნია როგორც განსხვავებული აზრის გაგების, ისე საკუთარი პოზიციის ასერტიულად დასაბუთების უნარი. ფსიქოლოგიურ ტერმინოლოგიას იყენებს კორექტულად და გასაგებად - აუდიტორიის სხვადასხვაგვარობის გათვალისწინებით.

6. [პროფესიული] ეთიკა

მაგისტრი აცნობიერებს კვლევაში ეთიკური ასპექტის მნიშვნელობას, მისთვის მნიშვნელოვანია პროფესიული კეთილსინდისიერება. აცნობიერებს ეთიკურ პრინციპებს და იჩენს მათდამი ერთგულებას ნებისმიერი (ინტერპერსონალური, ორგანიზაციული და პოლიტიკური) კომუნიკაციის შემთხვევაში; შეუწყნარებელია ფაქტების გაყალბების მიმართ; იცავს კორექტულობას და კოლეგიალურობას; აცნობიერებს ორგანიზაციაში ეთიკურ ღირებულებებს და ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელობას ორგანიზაციის მართვისათვის; იცავს ჰარმონიულ სამსახურეობრივ ურთიერთობებს; პატიოსნად იყენებს პოლიტტექნოლოგიებს; მონაწილეობს ფსიქოლოგის პროფესიული ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის პროფესიული ღირებულებების დასამკვიდრებლად.

7. ტრანსფერი [ტრანსფერული უნარები]

მაგისტრს ადეკვატურად გადააქვს მიღებული ცოდნა და ათვისებული უნარ-ჩვევები სხვა კონტექსტში/განსხვავებულ სიტუაციებში და ეფექტურად იყენებს მათ, რაც ასევე მოიცავს სხვადასხვა თეორიული მიდგომისა და პრინციპის ინტეგრირებას, ცოდნის მუდმივ განახლებას (პროფესიულ ზრდას), ადამიანის პიროვნების უნიკალობის გაცნობიერებასა და პატივისცემას (პიროვნული ზრდა).

მიზნებისა და შედეგობრივი მაჩვენებლების რუკა:

	მიზნები/შედეგები	შედეგი 1: ცოდნა (დარგობრივი)	შედეგი 2: პრაქტიკა	შედეგი 3: ანალიტიკა	შედეგი 4: კვლევა	შედეგი 5: კომუნიკაცია	შედეგი 6: ეთიკა	შედეგი 7: ტრანსფერი
1	ღრმა და სისტემური ცოდნა პოლიტიკური და საორგანიზაციო მართვის ფსიქოლოგიაში	√		√	√	√	√	√

2	პოლიტიკური/საორგანიზაციო ქცევის თანამედროვე კონცეფციების, ძირითადი თეორიებისა და მიდგომების, ტენდენციების, თეორიული, მეთოდოლოგიური და კვლევითი პრინციპების საფუძვლიანი ცოდნა	√		√	√	√	√	√
3	ინდივიდუალური კვლევითი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის აუცილებელი ცოდნა	√	√	√	√	√	√	√
4	პოლიტიკური და მართვის/ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები	√	√	√	√	√	√	√
5	ანალიტიკური ხედვა და კვლევის, ეფექტური სტრატეგიების შემუშავებისა და ინტერვენციის პრაქტიკული უნარები	√	√	√	√	√	√	√
6	ინდივიდუალური კვლევითი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები	√	√	√	√	√	√	√
7	პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვის უნარები.	√	√		√	√	√	√

<u>სწავლება-სწავლის მეთოდები:</u>

☒ლექცია

☒სამუშაო ჯგუფში მუშაობა

☒პრაქტიკული მუშაობა

☒სემინარი

☐ელექტრონული რესურსით სწავლება

☐ელექტრონული სწავლება

☒სხვა

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური შეფასების კომპეტენციის ზღვარი არის 40%, ხოლო დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 50%.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:

A = 4

B = 3, 2

C = 2, 4

D = 1, 6

E = 0, 8

დასაქმების სფერო:

გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს მიღებული ცოდნის საფუძველზე შესაძლებლობა ექნებათ პროფესიულად განვითარდნენ და წარმატებული კარიერა განახორციელონ როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში; საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში; კვლევით, საკონსულტაციო და/ან სხვა პრაქტიკული მიმართულებით, ყველგან - სადაც არის მოთხოვნა პოლიტიკური ფსიქოლოგიის ან მართვის/ორგანიზაციის ფსიქოლოგიის კომპეტენციებზე, რასაც უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;

- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ და იჯარით აღებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journlas; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება

სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა - lmb.gipa.ge. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის ხელმძღვანელი:

მანანა გაბაშვილი, პროფესორი

გორგასლის ქ. #101
თბილისი, 0108, საქართველო
ტელ: (995 32) 2 497545
მობ: (995 599) 908767
e-Mail: m.gabashvili@gipa.ge

გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგნის კოდი	დაშვების წინაპირობა	მოდული/საგანი	ECTS კრედიტი				სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[1]	
				I წელი		II წელი			
				სემესტრი					
				I	II	III	IV	საკონტაქტო საათები[2]	დამოუკიდებელი საათები[3]

[1] დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

[2] საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო.

[3] საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

		სასწავლო კომპონენტი[4]							
		სავალდებულო სასწავლო კურსები		**21**	**25**				
1.	AP/asp524	არ გააჩნია	გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია	5/125				36	89
2.	AP/qrm505	არ გააჩნია	რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი SPSS-ის საშუალებით I	5/125				42	89
3.	AP/gsc507	არ გააჩნია	ჯგუფთაშორისი ურთიერთობა და კონფლიქტი	5/125				33	92
4.	AP/str501	არ გააჩნია	სტრესის ფსიქოლოგია: თეორია და პრაქტიკა	5/125				33	92
5.	AP/ob508	არ გააჩნია	საორგანიზაციო ქცევა		5/125			36	89
6.	AP/rm522	AP/pa523	აკადემიური წერა, კვლევის დიზაინი და მეთოდები ფსიქოლოგიაში		5/125			42	83
7.	AP/pd505	AP/pa523	პიროვნების ფსიქოდიაგნოსტიკა		5/125			33	92
8.	AP/mn539	AP/gsc507	საჯარო ორგანიზაციების მენეჯმენტი		5/125			30	95
9.	AP/ip525	AP/asp524	გავლენის ფსიქოლოგია		5/125			36	89
		სავალდებულო-არჩევითი სასწავლო კურსები			**10**	**10**			
1.	AP/hr506	AP/ob508	ადამიანური რესურსების მართვა (HR)[5]		5/125			33	92
2.	AP5/stds518	AP/str501	ფსიქოტრავმატოლოგია		5/125			27	98
3.	AP/ca515	AP/rm522	პოლიტიკური დისკურსის კონტენტ-ანალიზი		5/125			27	98
4.	AP/ncom516	AP/mn539	არამომგებიანი ორგანიზაციების მენეჯმენტი		5/125			27	98
5.	AP/mark517	AP/ip525	მარკეტინგი			5/125		27	98
6.	AP/polb600	არ გააჩნია	პოლიტიკური პარტია, როგორც ბრენდი			5/125		27	98
			არჩევითი სასწავლო კურსები	4			5		
1.	AP/oh536	არ გააჩნია	ზეპირი ისტორიები- თეორია და პრაქტიკა	**5/125**				**27**	**98**
2.	AP/gc509	არ გააჩნია	გენდერის ფსიქოლოგია: გენდერის ფსიქოლოგიური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული საკითხები	**5/125**				**27**	**98**
3.	AP/qre505	AP/qrm505	რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი SPSS-ის საშუალებით II				5/125	27	98
4.	AP/pe535	არ გააჩნია	ევოლუციური ფსიქოლოგია	5/125				**27**	**98**
5.	AP/pe533	არ გააჩნია	სოციალურ-ფსიქოლოგიური ტრენინგი				5/125	27	98

[4] საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის, მოდულის, პრაქტიკის ან სხვა კომპონენტის სახით.

[5] იმ შემთხვევაში, თუ პრერეკვიზიტული (ძირითადად, სავალდებულო) კურსი და მისი მომდევნო (ძირითადად, სავალდებულო-არჩევითი) საგანი ერთ სემესტრში შეისწავლება, ცხრილი ისე დგება, რომ პრერეკვიზიტული კურსი წინ უსწრებს სავალდებულო არჩევითს.

6.	AP/ps530	არ გააჩნია	ადამიანი „შიზოიდურ“ სამყაროში				5/125	27	98
7.	AP/intur601	AP/str501	მიჯაჭვულობის სტილი და ინტერპერსონალური ურთიერთობები	5/125				27	98
		არჩევითი სასწავლო კონცენტრაცია				**15**			
1.	AP/pp510	AP/str501 AP/rm522	პოლიტიკური ფსიქოლოგია			15/375		96	279
2.	AP/pmop511	AP/ob508 AP/mn539	მართვის/ორგანიზაციის ფსიქოლოგია			15/375		96	279
		კვლევითი კომპონენტი[6]					**30**		
1.	AP/dip538	90 ECTS	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა				30/750		
			სემესტრში	**25**	**35**	**25**	**35**		
			წელიწადში	**60**		**60**			
			სულ	**120**					

სწავლების შედეგების რუკა 1

კომპეტენციების რუკა

			კომპეტენციები

[6] საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო სამაგისტრო ნაშრომის სახით

№	საგნის კოდი	მოდული/საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა
		სავალდებულო სასწავლო კურსები			
1.	AP/asp524	გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია	X	X	X
2.	AP/qrm505	რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი SPSS-ის საშუალებით I	X	X	X
3.	AP/gc509	ჯგუფთაშორისი ურთიერთობა და კონფლიქტი	X	X	X
4.	AP/str501	სტრესის ფსიქოლოგია: თეორია და პრაქტიკა	X	X	X
5.	AP/rm522	აკადემიური წერა, კვლევის დიზაინი და მეთოდები ფსიქოლოგიაში	X	X	X
6.	AP/ob508	საორგანიზაციო ქცევა	X	X	X
7.	AP/ip525	გავლენის ფსიქოლოგია	X	X	X
8.	AP/pd505	პიროვნების ფსიქოდიაგნოსტიკა	X	X	X
9.	AP/mn539	საჯარო ორგანიზაციების მენეჯმენტი	X	X	X
		სავალდებულო-არჩევითი სასწავლო კურსები			
1.	AP/hr506	ადამიანური რესურსების მართვა (HR)	X	X	X
2.	AP/stds518	ფსიქოტრავმატოლოგია	X	X	X
3.	AP/ca515	პოლიტიკური დისკურსის კონტენტ-ანალიზი	X	X	X
4.	AP/ncom516	არამომგებიანი ორგანიზაციების მენეჯმენტი	X	X	X
5.	AP/mark517	მარკეტინგი	X	X	X
6.	AP/polb600	პოლიტიკური პარტია როგორც ბრენდი	X	X	X
		არჩევითი სასწავლო კურსები			
1.	AP/ap500	ფსიქოლოგიის განვითარების თანამედროვე ტენდენციები	X		X
2.	AP/oh536	ზეპირი ისტორიები- თეორია და პრაქტიკა	X	X	
3.	AP/gsc507	გენდერის ფსიქოლოგია: გენდერის ფსიქოლოგიური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული საკითხები	X	X	X
4.	AP/qre505	რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი SPSS-ის საშუალებით II	X	X	X

5.	AP/pe535	ევოლუციური ფსიქოლოგია	X	X	X
6.	AP/spt513	სოციალურ-ფსიქოლოგიური ტრენინგი			X
7.	AP/ps530	ადამიანი „შიზოიდურ“ სამყაროში	X	X	X
8.		მიჯაჭვულობის სტილი და ინტერპერსონალური ურთიერთობები	X	X	X
9.		ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია	X	X	X
		არჩევითი სასწავლო კონცენტრაცია			
1.	AP/pp510	პოლიტიკური ფსიქოლოგია	X	X	X
2.	AP/pmop511	მართვის/ ორგანიზაციული ფსიქოლოგია	X	X	X
		კვლევითი კომპონენტი			
1.	AP/dip538	სამაგისტრო ნაშრომი	X	X	X

სწავლის შედეგების რუკა #2

რუკაზე წარმოდგენილია სწავლის შედეგები სავალდებულო და სავალდებულო-არჩევით საგნებთან მიმართებით, რომლებიც თავის მხრივ ჩაშლილია სამ (3) დონედ: a) ცოდნის განვითარებაზე მიმართული საგნები - D (Development of knowledge)[7]; b) პროცედურულ ცოდნაზე მიმართული საგნები P (Procedural knowledge = Practical application of knowledge); c) დახელოვნებაზე მიმართული საგნები M (Mastering). შესაძლებელია, საგნის დაუფლება ერთდროულად ორ დონეზე (DP ან PM) გასვლას განაპირობებდეს.

ცხრილში მოცემულია აგრეთვე პროცენტული მაჩვენებლები (ნიშნულები), რომლებიც გამოთვლილია განვლილი კურსების შეფასებების ანალიზის საფუძველზე (საგნებში დადებითი შეფასებების რაოდენობის მიხედვით). დაშვებული გადახრა თითოეული ნიშნულისთვის შეადგენს 30%-ს.

საგნის კოდი	კურსის დასახელება	დადებითი შეფასების ნიშნული	შედეგი 1: ცოდნა (დარგობრივი)	შედეგი 2: პრაქტიკა	შედეგი 3: ანალიტიკა	შედეგი 4: კვლევა	შედეგი 5: კომუნიკაცია	შედეგი 6: ეთიკა	შედეგი 7: ტრანსფერი

[7] იგულისხმება, რომ გაცნობით დონეზე საგნებს ბაკალავრიატში გადიან (საგნის შესავალი ან საფუძვლები).

1	AP/asp524	გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია	80%	D		DP		D	DP	DP
2	AP/qrm505	რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი SPSS-ის საშუალებით I	85%	DP	DP	DP	DP	P	DP	P
3	AP/gc509	ჯგუფთაშორისი ურთიერთობა და კონფლიქტი	80%	DP	DP			DP	DP	DP
4	AP/str501	სტრესის ფსიქოლოგია: თეორია და პრაქტიკა	80%	DP	DP	DP	DP	DP	P	DP
5	AP/ob508	საორგანიზაციო ქცევა	85%	M	PM	M		P	P	P
6	AP/rm522	აკადემიური წერა, კვლევის დიზაინი და მეთოდები ფსიქოლოგიაში	85%	PM	PM	PM	PM	PM	M	PM
7	AP/pd505	პიროვნების ფსიქოდიაგნოსტიკა	90%	PM	PM	PM	PM	PM	PM	PM
8	AP/mn539	საჯარო ორგანიზაციების მენეჯმენტი	80%	M	PM	P		P	P	P
9	AP/ip525	გავლენის ფსიქოლოგია	75%	PM	PM	PM		PM	M	PM
10	AP/mcp532	მანიპულაცია კომუნიკაციის პროცესში	85%	PM	PM			M	M	PM

11	AP/pol600	პოლიტიკური პარტია როგორც ბრენდი	90%	PM	PM		p	M	M	
12	AP5/stds518	ფსიქოტრავმატოლოგია	90%	PM	PM	PM	P	PM	M	M
13	AP/ca515	პოლიტიკური დისკურსის კონტენტ-ანალიზი	90%	M	PM	PM	PM	PM	PM	PM
14	AP/mc523	მართვა და კომუნიკაცია	85%	PM	PM			M	M	PM
15	AP/ncom516	არამომგებიანი ორგანიზაციების მენეჯმენტი	80%	M	PM	PM	PM	PM	PM	PM
16	AP/mc523	HR	85%	PM	PM		P	PM	M	
17	AP/mark517	მარკეტინგი	85%	PM	PM	PM	P	M	M	M
18	AP/pp510	პოლიტიკური ფსიქოლოგია (კონცენტრაცია)	90%	PM	PM	PM	PM	PM	PM	PM
19	AP/pmop511	მართვის/ორგანიზაციის ფსიქოლოგია (კონცენტრაცია)	90%	PM	PM	PM	PM	PM	PM	PM
20	AP/dip538	სამაგისტრო ნაშრომი	95%	PM	PM	PM	PM	PM	PM	PM
		D		2	0	1	0	1	0	0

P	0	0	1	4	4	3	3
M	4	0	1	0	4	8	2
DP	3	3	3	2	2	3	4
PM	12	16	10	7	10	6	10
Total Sum	21	19	16	13	21	20	19

<u>პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები:</u>

სრული პროგრამული ციკლის დასრულების შედეგების საფუძველზე, ფასდება პროგრამული შედეგები. პროგრამის 7 შედეგისთვის ნიშნულების შეფასება ხდება დამამთავრებელი კურსის შემაჯამებელი აქტივობის, სამაგისტრო სადიპლომო ნამუშევრების შედეგებით, სადაც კარგად ჩანს შეძენილი თეორიული და პროცედურული (პრაქტიკული) ცოდნა, ანალიტიკური აზროვნების უნარები, წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, კვლევითი და ტრანსფერული უნარები, პროფესიული ეთიკა.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ექვსი კომპონენტით: ფოკუსი - 20%, კვლევა - 20%, ლიტერატურის მიმოხილვა - 15%, არგუმენტაცია - 15%, ინფორმაციის, მონაცემთა წერილობითი პრეზენტაცია - 20% და ზეპირი პრეზენტაცია - 10%.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, შეფასდეს, თუ რამდენად გადის სტუდენტი შვიდ პროგრამულ მიზანზე (დარგობრივი ცოდნა, პრაქტიკა, ანალიტიკა, კვლევა, კომუნიკაცია, პროფესიული ეთიკა, ტრასფერი). თითოეულ ჩამოთვლილ შედეგს შეფასებაში მინიჭებული აქვს თავისი წონა. მაგალითად, არგუმენტაციის შეფასებისას, რაც ჯამში საბოლოო შეფასების 15%-ს მოიცავს, 2-2 პროცენტით ფასდება ცოდნის, პრაქტიკის, კვლევის, კომუნიკაციისა და ტრანსფერის პროგრამულ შედეგებზე გასვლა, ხოლო 5 პროცენტით - ანალიტიკის შედეგზე.

თითოეული სწავლის შედეგისთვის რუბრიკის კომპონენტების შეკრებით, ვიღებთ ამა თუ იმ სწავლის შედეგის წილს მთლიან შეფასებაში. მაგალითად, კვლევის მაქსიმალური წილი სამაგისტრო ნაშრომის მთლიან შეფასებაში არის 17%, ანალიტიკის - 21%, ტრანსფერის - 9%.

ამგვარად, პროგრამის სასწავლო გეგმაში შემავალი საგნები თანმიმდევრულად და ეტაპობრივად აძლევენ შესაბამის ცოდნას პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს. თითოეული კურსის გავლის შედეგად სტუდენტი ფლობს გარკვეულ კომპეტენციას კონკრეტული მიმართულებით, ხოლო მთლიანად შეძენილი ცოდნისა და გამომუშავებული უნარ-ჩვევების საფუძველზე ასრულებს სამაგისტრო ნაშრომს და საბოლოოდ გადის იმ შვიდ შედეგობრივ მაჩვენებელზე, რომელთა შეფასება ხდება წინასწარ შემუშავებული ნიშნულების მიხედვით. დაშვებული გადახრა თითოეული ნიშნულისთვის შეადგენს 10%-ს.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების რუბრიკა	შედეგი 1: ცოდნა (დარგობრივი)	შედეგი 2: პრაქტიკა	შედეგი 3: ანალიტიკა	შედეგი 4: კვლევა	შედეგი 5: კომუნიკაცია	შედეგი 6: ეთიკა	შედეგი 7: ტრანსფერი
ფოკუსი 20%	5	5	5	5			
კვლევა 20%	2	3	4	7		2	2
ლიტერატურა 15%	2		4	3	2	2	2
არგუმენტაცია 15%	2	2	5	2	2		2
ინფორმაციის, მონაცემების წერილობითი პრეზენტაცია 20%	3	3	3		5	4	2
ზეპირი პრეზენტაცია 10%		2			5	2	1
ჯამურად შედეგთან მიმართებით ქულის/შეფასების განაწილება	14	15	21	17	14	10	9
სამიზნე %	80%	80%	85%	85%	80%	80%	80%
სამიზნე ნიშნული (ქულები)	11.2	12	17.85	14.45	11.2	8	7.2
სამიზნე ნიშნული (სტუდენტები)	70%	70%	70%	70%	70%	70%	70%

დანართი №1

პროგრამის ხელმძღვანელების რეზიუმე
(CURRICULUM VITAE)

სახელი, გვარი	მანანა გაბაშვილი			
სამუშაო ადგილი	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი			
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი:	+995 599 908 767	ელ-ფოსტა:	m.gabashvili@gipa.ge
დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები	დაცული დისერტაცია: Семантическая структура слова и проблема смысловой связанности текста [Текст] : (На материале англ. яз.) : Автореф. дис. на соиск. учен. степ. канд. филол. наук : (10.02.04). - Москва : [б. и.], 1979 სამეცნიერო კვლევის სფეროები: ინტერდიციპლინური-ნსოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები - ფსიქო/ნეიროლინგვისტიკა, პოლიტიკური ფსიქოლოგია/პოლიტიკური ლინგვისტიკა, ფსიქოტრავმატოლოგია, კონფლიქტოლოგია, იძულებითი მიგრაცია.			
პუბლიკაციები	2022 - თანაავტორი: A full-scale Russian Invasion of Ukraine in 2022: Resilience and Coping within and beyond Ukraine. In: "Applied Psychology: Health and Well-Being". (In press). Co-authorship with by Kimhi, Shaul; Kaim, Arielle; Bankauskaite, Dalia; Baran, Maria; Eshel, Yohana; Dumbadze, Salome; Sukhashvili, Jemal; Kaniasty, Krys; Koubova, Alice; Marciano, Hadas; Matkeviciene, Renata; Teperik, Dmitri; Adini, Bruria 2021 - ავტორი: „აფაზიის განწყობისეული ბუნება (საკითხის დასმა)". ფსიქოლოგიური განწყობისა და კორექციის ცენტრის შრომები. ტ. 2, თსსუ, 2021, 12-23 2021 – ავტორი: „XIX საუკუნის ფსიქოლოგია (მიმოხილვა)". ფსიქოლოგიური განწყობისა და კორექციის ცენტრის შრომები. ტ. 3, თსსუ. 2021, 29-33 2021 - თანაავტორი: „Covid-19-ს ფსიქოსემანტიკური სივრცე: ომი უხილავ მტერთან?" Covid-19 და ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიური განწყობისა და კორექციის ცენტრი, თსსუ, 2021, 49-55 (ნათელა იმედაძესთან და ანა ვარდოსანიძესთან თანაავტორობით) 2021 - რედაქტორი: „მედეგობა COVID-19-ის ეპიდემიის დროს: მედეგობის, დისტრესისა და შფოთვის აღქმული მიზეზები, გამოვლენილი სიმპტომების შემსუბუქება დევნილ და ადგილობრივ ქალებში". GIZ-ის დაფინანსებული კვლევა. ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი. თბილისი 2020 - რედაქტორი: „მედეგობა კოვიდ-19-ის პერიოდში: ფსიქოლოგიური გავლენა იძულებით გადაადგილებულ პირებსა და ქალებზე". GIZ-ის დაფინანსებული კვლევა. ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი. თბილისი 2020 - თანარედაქტორი: "From Migration and Integration Challenges to Good Practices: Practitioners' Perspectives". SIESTA Group. (Gregg Bucken-Knapp და Karin Zelano-სთან ერთად) 2019 - ავტორი: "ბავშვის მეტყველება: რომან იაკობსონის ლინგვისტური და ნათელა იმედაძის ფსიქოლინგვისტური პარალელები", ნათელა იმედაძის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 101-108			

	2019 - თანაავტორი: „აფაზიოლოგიის განვითარების ტენდენციები“. მოხსენების აბსტრაქტი. საერთაშორიო კონფერენციის „ჰუმანიტარული მეცნიერებები გლობალიზაციის ეპოქაში” მასალები, აწსუ, 1-2 ნოემბერი (მარიამ ბაქრაძესთან ერთად) 2019 - თანაავტორი, “გრამატიზაციის თავისებურებების საკითხისათვის ქართველენოვან ბავშვებში” (მოხსენება), ფსიქოლოგიის საერთაშორისო დრისადმი მიძღვნილი კონფერენცია, თსუ, თბილისი, 2019, 12 აპრილი (ნათელა იმედაძესა და ნინო გელდიაშვილთან ერთად) 2018 - - თანაავტორი, Legal Culture, Forms of Adaptation and Personality Types, 8th Eurasian Multidisciplinary Forum, EMF 2018, Proceedings, 6-7 September, Tbilisi, Georgia, p.8-15, (ვახტანგ ნადარეიშვილთან ერთად) 2017 - თანაავტორი, Types of Social Control: Psychosocial Aspects, (აბსტრაქტი), 7th Eurasian Multidisciplinary Forum, EMF 2017, -7 October, 2017, Tbilisi, Georgia (ვახტანგ ნადარეიშვილთან ერთად) 2015 – თანაავტორი, Toward a Psychological Theory of Body Language, European Scientific Journal December 2015 /SPECIAL/ edition Vol.2 ISSN: 1857 – 7881 - ISSN 1857- 7431 (რამაზ საყვარელიძესთან ერთად) 2011 – თანაავტორი, სამეგრელო-ზემო-სვანეთი, მოსახლეობა გამყოფი ხაზის გასწვრივ, GFSIS, 2011 (ანა დიაკონიძესთან და გიორგი თარხან-მოურავთან ერთად) 2011 – რედაქტორი, სტრესი და იძულებითი გადაადგილება, სახელმძღვანელო, ქართულ და ინგლისურ ენებზე (ავტორები: მერაბ მაღრაძე და სხვ.)

დანართი №2

ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ

№	სახელი და გვარი	სტატუსი	სასწავლო კურსი
1.	თინათინ ჩხეიძე	ასოცირებული პროფესორი	• გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია • გავლენის ფსიქოლოგია
2.	რამაზ საყვარელიძე	მოწვეული ლექტორი	• სტრესის ფსიქოლოგია: თეორია და პრაქტიკა • პოლიტიკური ფსიქოლოგია (კონცენტრაცია)
3.	ნათია სორდია	მოწვეული ლექტორი	• აკადემიური წერა, კვლევის მეთოდები და დიზაინი
4.	თამარ ჩხაიძე	მოწვეული ლექტორი	• რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი SPSS-ის

			საშუალებით I ●
5.	თეა გვალესიანი	ასოცირებული პროფესორი	● პიროვნების ფსიქოდიაგნოსტიკა ● მართვის/ორგანიზაციული ფსიქოლოგია (კონცენტრაცია) საორგანიზაციო ქცევა
6.	ირმა ოქროპირიძე	მოწვეული ლექტორი	● ადამიანური რესურსების მართვა
7.	ნანა ბერეკაშვილი	ასოცირებული პროფესორი	● გენდერის ფსიქოლოგია - (გენდერის ფსიქოლოგიური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული საკითხები)
8.	რუსუდან მშვიდობაძე	პროფესორი	● ჯგუფთაშორისი ურთიერთობა და კონფლიქტი ● სოციალურ-ფსიქოლოგიური ტრენინგი ● მართვის/ორგანიზაციული ფსიქოლოგია (კონცენტრაცია)
9.	დალი ბერეკაშვილი	მოწვეული ლექტორი	● ევოლუციური ფსიქოლოგია
11.	მამუკა მახათაძე	მოწვეული ლექტორი	● საჯარო ორგანიზაციების მენეჯმენტი
12.	თამარ კობერიძე	მოწვეული ლექტორი	● არამომგებიანი ორგანიზაციების მართვა
13.	ზურაბ მხეიძე	მოწვეული ლექტორი	● მართვა და კომუნიკაცია ● მანიპულაცია კომუნიკაციის პროცესში
14.	ხათუნა მაისაშვილი	მოწვეული ლექტორი	● პოლიტიკური დისკურსის კონტენტ-ანალიზი
15.	მანანა გაბაშვილი	პროფესორი	● ფსიქოტრავმატოლოგია ● პოლიტიკური ფსიქოლოგია (კონცენტრაცია)
16.	კონსტანტინე ქამუშაძე	მოწვეული ლექტორი	● მარკეტინგი

17	მზეანა გომელაური	პროფესორი	• ადამიანი „შიზოიდურ“ სამყაროში
18.	თინათინ ხომერიკი	ასისტენტი	• ზეპირი ისტორიები - თეორია პრაქტიკა
20	რევაზ ჯორბენაძე	მოწვეული ლექტორი	• პოლიტიკური ფსიქოლოგია (კონცენტრაცია)
21.	ლევან ასათიანი	მოწვეული ლექტორი	• პოლიტიკური ფსიქოლოგია (კონცენტრაცია)
22.	ანა დიაკონიძე	ასოცირებული პროფესორი	• მართვის/ორგანიზაციული ფსიქოლოგია (კონცენტრაცია)
23.	ალექსანდრე ავალიანი	ასისტენტი	• პოლიტიკური ფსიქოლოგია (კონცენტრაცია)
24.	ირინე ჭელიძე	მოწვეული ლექტორი	• პოლიტიკური პარტია, როგორც ბრენდი
25.	მარიამ ალანია	ასოცირებული პროფესორი	მიჯაჭვულობის სტილი, სტრესი და ინტერპერსონალური ურთიერთობები
26.	სალომე დუმბაძე	ასისტენტი	• რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი SPSS-ის საშუალებით II
27.	ირაკლი იმედაძე	მოწვეული ლექტორი	• ფსიქოლოგიის განვითარების თანამედროვე ტენდენციები
28.	ლალი სურმანიძე	მოწვეული ლექტორი	• ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია